საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება
N188 22.06.2015

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 03.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. იმ შემთხვევაში თუ 2016 წლისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით 2015 წლის აპრილიდან მაისის ჩათვლით პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებული ფასების შესწავლისას შემოსავლების სამსახურის მიერ გამოვლინდა 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის რომელიმე დასახელების/ქვედასახელების საცალო სარეალიზაციო ფასისაგან განსხვავებული ფასი, შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში 2015 წლის 1 ივლისამდე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი ნოდარ ხადური